სახალხო გაზეთი

№ 243 სამშაბათი, 8 მარტი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 243

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიდებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამეულოვანრო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორბამან“-ში, მადათოვის კუნძულზე და ედირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო საზლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, გარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

წელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

წელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ხამუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი განქის ქ. N 12
ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის
Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებითი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდებიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

წლ.	11 თვ.	10 თვ.	9 თვ.	8 თვ.	7 თვ.	6 თვ.	5 თვ.	4 თვ.	3 თვ.	2 თვ.	1 თვ.
8. 50.	8. —	7. 50.	6. 90.	6. 20.	5. 50.	4. 80.	4. —	3. 20.	2. 40.	1. 60.	— 80.
12. 8.	11. —	10. —	9. —	8. —	7. —	6. —	5. —	4. 50.	3. 50.	2. 50.	1. 25.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფული 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: **ხელის მოწერის** დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

სოფელ ქვედა ბახვში გარდაიცვალა

პავლე ივანეს ძე მახარაძე,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე **ანგრაფინა**, შვილები **ერმილე, ნიკოლოზი**, ქალები: **სარრა, ელენე** და **ნინა პავლეს ძენი** და **ასულნი მახარაძენი**, ძმა, **მელქისედეკ გიორგის ძე** მახარაძე და **და პელაგია**. დაკრძალვა დანიშნულია სამშაბათს 8 მარტს, 9 საათზე, სოფ. ქვედა ბახვში. (1— —1)

—◀ წიგნის გამომცემლობა ▶—

„ა ლ ი ო ნ ი“-ს

გაგზ უმორჩილესად სთხოვს იმათ, ვისაც უკანასკნელ სამ წიგნზე ხელმოსაწერ კვიტანციების გაყიდვა ჰქონდათ მინდობილი, შეგვატყობინონ: 1) რამდენი ხელის-მომწერი ჰყავთ, 2) ფული სრულიად აქვთ შემოტანილი თუ არა? და 3) **ვისაც რამე მიზეზისა გამო ჯერ არ შემოუტანია სრული ანგარიში, უსათოდ შემოიტანონ ამ 1911 წლის მარტის 25-მდე.**

შენიშვნა: ნისიად გაცემული კვიტანციები უკანვე ჩამოერთვას ნისია-ხელის-მომწერთ, თუ ზემოხსენებულ ვადამდე ფულს არ შემოიტანენ.

წიგნების ბეჭდვას აპრილის 1-ლ რიცხვებში შეუდგება გამომცემლობა მეტეხის ციხის სტამბაში. ფული და ყოველ-გვარი წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: **Тифлисъ, Кирочная ул. № 21. Амвросію Чалигава для В. Гадилія.** (3—1128—1)

ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭო

აცხადებს, რომ 1911 წლის განმავლობაში გამოსცემს იგი რამდენსამე **კრებულს მხატვრულ, ფილოსოფიურ და მეცნიერულ შინაარსისას.** პირველ კრებულისთვის მასალა 15 თებერვლამდე მიიღება. კრებული სივრცით 300—500 გვერდამდე იქნება. საზოგადოების წევრთათვის და „სახალხო გაზეთის“ გამომცემელთან შეთანხმებით, ამ გაზეთის ხელის-მომწერთათვის ეღირება 50 კაპ.; სხვებისათვის კრებული ეღირება არა ნაკლებ 1 მანეთისა. კრებულის გამოცემისთაობაზე მსურველთ შეუძლიან მიჰმართონ მოსალაპარაკებლად სიტყვა-კაზმულ მწერლობის საბჭოს თავმჯდომარეს **გ. ს. რცხილაძეს** (იზმაილ. ქ. № 2. (0—21)

ტფილისის ქერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენოფონტეს ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეც და ღამეც. **საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:**

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი ვ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

შელიქაშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხობოლევსკი ვ. ვ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხულაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი **ნამლოგა „606“-ით** (Ehrlich-hata) საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტეროლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (წ.—1089—412)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 . ხალამ. 6—7 ს. ზუთშაბათოვით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოკის ქ. N 4, **სახლი გაბამგილისა.** (ფ)

ექიმი ქ. ქუთაისში თ. ტუფელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საარდე და სასქესო აგებულებათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ბერალოვის სახლი, (50—15—88

„სახალხო გაზეთის“ მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი“, „სინათლე“, „ზაკავკაზსკაია რეჩი“, „ჰორიზონტი“, „სურანდაკი“, „ცხოვრება და ხელოვნება“, „სალამური“, „ხათაბალა“, ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა ქიათურასა, გორსა, ბაქო'ს, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სენაკსა და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკასიისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა, სამტრედიისა, ყვირილისა,

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

ვაგზლის ქერძო

სამკურნალო

გარეგან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. ვ. ხობოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

ნამლოგა „606“-ით.

(წ.—1090—9)

სამკურნალო

სპეციალისტ სამშობიაროს ექიმებისა გარეგან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანანის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს, ბადიხ მაზლოვლად, ტელეფონი N 183.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპანოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მანნე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 11½—3 საათ.

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-ღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

სულაკოვი—ყოველ დღე, ქალებ. და საბებია: 3 ნახ.—4 ნახ. საათ.

რუდენკო—შინაგ. და ბავშვ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელგოზაროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ოხანელიანცა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმანი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მბატარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ.-დღე.

ყალამბაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველ-დღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს

საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—61)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით **ექიმის**

ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით **„606“.** (80—405—56)

ექიმი ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლიხა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—328

ექიმი ალ. სოლოლაშვილი კბილისა იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. ალექსანდროვის პრეს. N 12, სახლი მდივანიხა. (ფ)

ექიმი ქ უ თ ა ი ს ში, ს. ი. ვ ო ლ ო ხ ი კათოლიკეების ქუჩა N 33.

ნაზოგარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყობს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ნატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასერმანიანებურად საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე ჭლექიანისა და ნაყმაწვილოსი ხნვა და ხნვა ტუბერკულინებით ყოველ კვირა აბალ-ანალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისანანავე გზანებათ საგანგებო მეხანგვებში სტერილიზაცია გაგეთებული ეპროვეტები სისხლის გამოსაზანისთვის ვასერმანიანებურათ გამოსაგზავნად. (50—1078—17)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩნის ქ., № 9. (ფ)

ექიმი კ ბ ი ლ ი ს ა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. ხალამ. 5—7 საათ. ეზმაილოვის ქ. N 2.

ელექტრონისა და რენტგენის ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., ხალ. 6—7 ს., კვირაობით და მზოლოდ ხალამოთი 6—7 საათამდე გამინჯვა და გადაღება რენტგენის ხნივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—68)

ექიმი რ. დ. მაჯავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. (0.—180—101)

ექიმი ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვების და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (0.—188—88

ექიმი ბ. ა. მიქელაძე იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი** ავადმყოფთ ყოველ დღე ხალამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. კაბეთის ქ. ტილეფონი N 816.

ექიმი ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლავ. სნეულებათა, პარიზელ ბრლ. ფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და ხალამოს 6—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—8)

შკალიერი

ძმათა ტარნოპოლთა

ქ ა რ ხ ნ ი ს ა

ტფილისის განყოფილება

იწყოფება გოლოვინის პრეზიდენტზე, სახ. N 21, არტისტიულ ხაზოგ., ტელეფონი N 355.

საწყობში ყოველთვის ბლომად იმყოფება შპალიერი, რომელიც ქარხნის ფასებში იყიდება, 8 კაპ. 6 მ.-დე. ქარხანას აქვს საწყობები რუსეთის იმპერიის ყველა ადიდგან ქალაქებში.

ხანიმეშო შპალიერი იგზავნება უფასოდ. (50—1120—2)

ერთი პამათის გამო

„თემსა“ და „სახალხო გაზეთის“ შორის უსიამოვნო დამოკიდებულება დამკვიდრდა. მე ეხლა არ ვკითხულობ დაწვრილებით იმის გამოკვლევას, თუ როგორ და საიდან დაიბადა ეს **არასასურველი** დამოკიდებულება. მინდა მივაქციო მხოლოდ „თემის“ ხელმძღვანელის ყურადღება ერთ გარემოებაზე.

იმ თავითვე „თემის“ წერილებში „სახალხო გაზეთის“ წინააღმდეგ მიმართულებს წითელ ხაზივით მოსჩანს ის დედა-აზრი, რომ დღეს გაზეთს ახალი თანამშრომელნი დაეპატრონენ, ძველები განზე გადადგნენ და ამ ახლებს და ძველ თანამშრომლებ შორის აღარავითარი კავშირი არ არსებობ. და ამიტომაც არის ყოველ პასუხის მგებლობას მარტოოდენ ახალ თანამშრომლებს აკისრებს თავზედ.

ამაზე უნდა მოვახსენო პატივცემულ გრიგოლ დიასამიძეს, რომ საქმის ნამდვილი გარემოება ეწინააღმდეგება ამგვარ განმარტებას „სახალხო გაზეთის“ ეხლანდელის მდგომარეობისას.

მართალია, სხვა-და-სხვა გარემოების გამო ზოგიერთი ძველი თანამშრომელი ჩამოშორდა გაზეთს, მაგრამ დღესაც დანარჩენ ძველ თანამშრომლებს გაზეთთან კავშირი არ გაუწყვეტიათ.

ის საზოგადოებრივი მიმართულება, რომლის მემკვიდრეთ სთვლის თავის თავს „სახალხო გაზეთი“ არც ისე უმნიშვნელო იყო, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ამ მიმართულების წარმომადგენელთა ძალთა ისეთი დაქსაქსვა, რომელზედაც ლაპარაკობს ხოლმე გაზეთი „თემი“, როდესაც ლაპარაკობს „სახალხო გაზეთის“ შესახებ.

პირადად მე ყოველთვის ვგრძნობ უხერხულ მდგომარეობას, როდესაც გაზეთ „თემში“ ვკითხულობ იმ გაზეთის ძაგებას, რომელშიაც, შეძლების დაგვარად, დღესაც ვთანამშრომლობ. ჩემი მდგომარეობა მით უფრო უხერხულია, რომ იმავ გაზეთში არა ერთხელ გამოუთქვამს მის ხელმძღვანელს ჩემდამი პატივისცემა.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩემსა და გრიგოლ დიასამიძეს შორის მართლაც არსებობს მეგობრული განწყობილება, უნდა გულახდილად ვუთხრა პატივცემულ რედაქტორს, რომ მეც მხვდება ისარი, გამოსროლილი „სახალხო გაზეთის“ წინააღმდეგ, მხვდება იმიტომ, რომ ღრმა კავშირსა ვგრძნობ იმ მიმართულებასთან, რომლის ავი თუ კარგი გამომსახველი დღეს ეს გაზეთია. და დარწმუნებული ვარ, რომ ამგვარსავე კავშირს ჰგრძნობენ ის ძველი თანამშრომელნიც, რომელნიც დღეს იძულებით არიან დადუმებულნი.

ხოლო ამასთან ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი სოლიდარობა „სახალხო გაზეთის“ დღევანდელ თანამშრომლებთან არ მოასწავებს კიდევ იმას, რომ ყველაფერში ვეთანხმებოდე და ყოველივე კერძო საკითხი ისე მესმოდეს, როგორც ეს ხანდისხან გაზეთის ფურცლებზე ისახება. მთავარ საკითხის განმარტებაში კი არ ვხედავ განსხვავებას პირადად ჩემსა და გაზეთს შორის.

მეც ვეთანხმები გაზეთს, რომ კახეთის რკინის გზის გამო შემდგარი ოპოზიცია უნიადაგო იყო. ვეთანხმები იმაშიაც, რომ ლექსიკონი უნდა გამოიცეს მეცნიერული და კარგად შემუშავებული. და ამიტომ გაზეთთან ერთად მეცა მწყინს ის უცნაური ბრალდება, ვითომ ჩვენ ბ. კარიჭაშვილს ვწამებდეთ ვაჭრულ ანგარიშების ინსტინქტებს, გაზეთთან ერთად მწყინს, ისიც, ვითომ „სახალხო გაზეთი“ იმიტომ არ უპერდა მხარს ხსენებულ „ოპოზიციას“, რომ მას, გაზეთს, ჰყოლია წარმომადგენელნი თავად-აზნაურთა საკრებულოს კომისიებში.

არ ვეთანხმები გაზეთს მხოლოდ იმაში, რომ აჩქარებით დაიწყო პოლემიკა „თემის“ წინააღმდეგ, თუმცა კი გაზეთის აზრს, რომ ჩვენში ზოგიერთ ახალ გამოცემას ხშირად არავითარი საზოგადოებრივი ნიადაგი არა აქვს, სავსებით ვეთანხმები. არ ვეთანხმები გაზეთს, მაშინ, როდესაც იგი სხვა გამოცემათ უკიჟინებს ენის უცოდინარობას, როდესაც ეს უცოდინარობა, საუბედუროდ, სენია ყველა ქართულ სალიტერატურო და საპოლიტიკო გამოცემებისა.

როგორც ხედავთ ჩვენ არ ვერიდებით, არც ვთაკილობთ ერთმანეთის წვრილ შეცდომებზე მითითებას, არ ვერიდებით იმიტომ, რომ გვაქვს სხვა დიდი და ღრმა საფუძველი სოლიდარობისა—საფუძველი, რომელსაც, ჩემის აზრით, გრიგოლ დიასამიძე არაფრად აგდებს და მით არა სასურველ მოტივებს აპარებს საზოგადოებრივ აზრის გამომხატველ გამოცემებში. და გრიგოლ დიასამიძე ადვილად მიხვდება, რომ ის ცხარე პასუხი გაზეთის ერთის თანამშრომლისა, რომელიც დღეს იბეჭდება, გამოწვეულია სწორედ ამ მრუდე დამოკიდებულებით, რომელიც დამყარდა „თემსა“ და „სახალხო გაზეთის“ შორის.

არჩილ ჯორჯაძე.

სახელმწიფო სათათბირო

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან).

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

წყლებზე მიმოსვლისა და გზატკეცილების ხარჯთ-აღრიცხვაზე კამათი გრძელდება.

გზათა მინისტრის ამხანაგი შჩუკინი. სარკინისგზო ლიანდაგთა გაყვანის ხანაში, წყლებზე მიმოსვლის საკითხს ნაკლები ყურადღება ექცეოდა, ეხლა კი სამოქმედო ახალი გეგმაა შემუშავებული, რისთვისაც მახლობელ წლებში 200 მილიონ მანეთის გადადებას ვიშუამდგომლებთ.

კავკასიაში გზებისათვის მიწების ჩამორთმევის საქმე მართლაც ნელის ნაბიჯით მიდის, მაგრამ ამისი მიზეზი ათ წლობით მოგროვილი საქმეების ბრალია. ამის გარდა კავკასიაში მიწად-ფლობელობა მეტათ აწეწილ-დაწეწილია.

ციმბირის მდინარეთა შეერთება ევროპის მდინარეებთან მახლობელ საქმეთა სიაშია შეტანილი. შინგარეგის ბრალდებაზე მინისტრის ამხანაგი აცხადებს, რომ შეცდომები შეიძლება მოხდეს ხოლმე და არა ბოროტმოქმედება. სათათბიროში მუდამ წელიწადს გაისმის უსამართლო ბრალდება სამინისტროში მოსამსახურეთა მიმართ. ასე პირადებით ბრალდება უსამართლოა და მოსამსახურეთა კორპორაციაში შეიძლება აღმოფხვრას კიდეც იმ ზნეობრივ ღირსების შეგნება, რომელიც ყოველ-გვარ საზოგადო მოღვაწეობის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს. ბრალდების მაგიერ საჭიროა ბოროტებას ეწამლოს რამე. თუ მხედველობაში მივიღებთ მოხელეთა მცირე ჯამაგირს, აგრეედვე იმას, რომ როდესაც საზოგადოება მათის სამსახურით სარგებლობს, ხშირად მაცდურ წინადადებას აძლევს უკანონოდ საქმის საწარმოებლად, მაშინ ცხადად წარმოიდგენთ იმ სახიფათო მდგომარეობას, რომელშიაც სამინისტროს აგენტები იმყოფებიან.

სამინისტროს მიერ ახლად შემუშავებულს შტატებით და ცხოვრების პირობათა მიხედვით გასამრჯელოს დანიშვნით, ამ ხიფათს მომავალში თავიდან ავაცილებთ (ცენტრი ტაშს უკრავს).

ტომილოვი. მინისტრის ამხანაგის განმარტებამ წამოყენებული ბრალდებანი ვერ გააბათილა; ბოროტმოქმედებანი ყოფილა, არის და, ალბად მომავალშიაც იქნება.

ვინოგრადოვი. აზრად არა მქონია მთელი სამინისტრო დამნაშავედ გამომეცხადებინა, ვითომც ბოროტმოქმედებას არ ებრძოდეს. მაგრამ კიევის ოლქში მომხდარ ბოროტმოქმედებაზე ნამდვილი საბუთები მივიღე. ასეთ ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა სამინისტროს გაუძნელდება, რადგანაც ეს სენი მეტად ფართედაა გავრცელებული.

ნეკრასოვი. ამ შემთხვევაში სამინისტროს უმოქმედობას კი არა მმართველობის უილაჯობას უკიჟინებენ. მას მერე, რაც ახალი მინისტრი თანამდებობის აღსრულებას შეუდგა, ენერგიულად შეუდგა წვრილ მოხელეთა განწმენდას, მხოლოდ მსხვილ ბოროტ-მოქმედებათა ჩამდენთა დასჯაში კი უღონო გამოდგა, როგორც მაგალითად პროდუელისა და დელაროვისა.

წყლებზე მიმოსვლათა და გზა-ტკეცილთა სამმართველოს უფროსი თხოულობს, ხარჯთ-აღრიცხვაში კვლავ დასტოვონ კომისიის მიერ გამორიცხული 10,300 მანეთი ნოვოროსიისკ-სოხუმის გზატკეცილის სატეხნიკო საკრებულოს ანგარიშთა გასასტუმრებლად, 100,000 მანეთი მდ. ვისლის (ავსტრიის საზღვარზე) ნაპირების გასასწორებლად და კავკასიაში სტრატეგიულ გზა-ტკეცილის გასაყვანად.

ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის მიერ შედგენილს ჯამით ღებულობენ, ხოლო მდ. ვისლის საზღვრის ნაპირების გასასწორებლად 100,000 მანეთსაც უმატებენ.

გერცენვიჩი. რკინის გზათა სამმართველო ხარჯთ-აღრიცხვის კომისიის მოხსენების დასკვნას კითხულობს. სამინისტროს ანგარიშით 521,523,613 მანეთს უდრის, რომელიც კომისიას 7,688,407 მანეთით შეუმცირებია. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია სახელმწიფო რკინის გზებს ზარალი აღარ მოსდიოდეს. შემოსავლის ზრდა მოსავალზე და ისედაც დიდ გარდასახადების გადიდებაზეა დამოკიდებული. კერძო რკინის გზათა გაყვანა კერძო სარკინისგზო საზოგადოებათ ამრავლებს და საფიქრებელია სახელმწიფო გზებს მეტოქეობა გაუწიონ; ამისათვის საგანგებოდ შემოსავლის ზრდას ოპტიმისტურად არ უნდა ვუცქეროდეთო.

რკინის გზათა სამმართველოს უფროსი. 1909 და 1911 წლის შემოსავალს 1907 და 1908 წლის შემოსავალთან ადარებს და აღნიშნავს, რომ მგზავრთაგან შემოსავალს 22 პროცენტით უმატნია, საბაღმიცემო საქონლის გადატან-გადმოტანისაგან—11 პროცენტი, ხოლო მატარებელთა მიმოსვლას 6 პროცენტით უკლია. მხოლოდ საქონლის მატარებელთა მიმოსვლა 11 პროცენტით შემცირებულა. ამ შემცირებას მიუცია უმთავრესი მოგება. სადგურებზე დაბანდებული საქონელი 100,000 ვაგონიდან 20 ათასზე დასულა. 1907 წელს სახელმწიფო რკინის გზას წმინდა მოგება 70 მილიონი ჰქონია, 1908 წ. — 74 მილიონი, 1909 წ.—138 მილ. 1910 წ. —120 მილ. რკინის გზათა გასაყვანი თანხის პროცენტები, რომელიც ორი წლის წინედ 100 მილიონს უდრიდა, ეხლა რამდენიმე მილიონს ღა უდრის. სახაზინო ყველა რკინის გზათა სარგებლობის კოეფიციენტი 1908 წ. 81 პროცენტს უდრიდა, ხოლო 1910 წ.—69 პროცენტზე დავიდა, და სავსებით გაუთანასწორდა დასავლეთ-ევროპისა და ჩრდილო-ამერიკის გზათა კოეფიციენტს, საფრანგეთის გარდა. აზიის გზათა ზარალი რომ გამოვრიცხოთ, ევროპის ლიანდაგთა სარგებლობის კოეფიციენტი 64—65 უდრის. ორატორი აღნიშნავს, რომ უწყების სამსახურში მყოფთ, რომელნიც წლიურ ჯამგირს 1200 მანეთზე ნაკლებს ღებულობენ, წლის ბოლოს ერთდროული ჯილდო მიეცემათო. უწყებას წარედგინა ახალი პროექტები შემნახველ და დამხმარე კასებზე რკინის გზაზე მოსამსახურეთ და მუშებისათვის, დაშავებულ მოსამსახურეთა და მათ ოჯახობის უზრუნველყოფაზე, ინვალიდთა სახლებზე; აგრედვე შემუშავებულია პროექტი სადისციპლინო წესდებისა, რომლითაც სადგურის უფროსთა, მათ თანაშეწყეთა და ორთქლ-მავლის მემანქანეთა სახელმწიფო სამსახურის უფლებანი ფართოვდება. რკინის გზებზე მოსამსახურეთა დებულებანიც მუშავდება. ყველა ამ პროექტთა მომავალი ბედი სათათბიროს ხელშია (მარჯვნივ ტაშის ცემა).

ვიშნევსკი. წვრილ მსახურთა ჯამგირების მომატებაზე ლაპარაკობს და სასურველად მიაჩნია, სამინისტრო დიპლომებს კი არ აქცევდეს ყურადღებას, არამედ მოსამსახურის პრაქტიკულს მუშაობას.

დობროჯოლსკი. დაშავებულ მსახურთა უზრუნველსაყოფად ხარჯი იზრდება უფრო იმის გამო, რომ რკინის გზის მოსამსახურენი იძულებულ არიან დღე-ღამეში 13 საათს იმუშაონ მეტად მძიმე პირობებში. სამინისტრომ უნდა გადაშინჯოს 1907 წ. შემოღებული შრომის ნორმა. უწყების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქონელი გზებზე აღარა ბანდდება ახლად მიღებულ ზომათა წყალობითაო, მაგრამ ახალი სამეურნეო საშუალებანიც დამაკმაყოფილებელი არ არის. (მარცხნივ ტაშის ცემა, მარჯვნივ—სტვენა).

კუზნეცოვი. რკინის გზაზე დაბალ მოსამსახურეთა მიერ ხელ-მოწერილი აუარებელი წერილები მომდის, სადაც იგინი თავის ნივთიერსა და უფლებრივ უნგეშო მდგომარეობას აღწერენ.

ტომილოვი რკინის გზათა ზარალი იმის ბრალია, რომ ინჟენერები ჯიბეს ისქელებენ; იმათს ხელში დიდი ფული ტრიალებს მუშების დასარიგებლად, ხოლო ისინი კი უკანტროლოდ ჰხარჯავენ მას.

საერთო კამათი დასრულდა. ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის ვარაუდით ღებულობენ.

შემდეგი სხდომა ორშაბათს მოხდება.

პოლიტიკური პროგრამა არა ჰქონდა.

„ჩვენ ვმოქმედობთ აქამომდე, ამბობს იგი, ცალ-ცალკე, უსისტემოდ და გაფანტულად. ამის გამო ყოველს ჩვენს დაწესებულებას რალაც უმიზნობის და განცალკევების დალი აზის“*).

უსისტემობა და განცალკევება წარმოსდგება პროგრამის უქონლობისაგან—ხოლო პროგრამის უქონლობას მოსდევს „პატარა საქმეებით“ დაკმაყოფილება და ეს კი ჰკლავს საზოგადოებრივ მოძრაობას.

„ლაღდება სკოლებში ქართულის ენის შემოღებაზე, სახალხო სკოლების დაფუძნებაზე, ქართულის თეატრის გამართვაზე, სასარგებლო წიგნების გამოცემაზედ, ჩვენი ენის განვითარებასა და გამშვენიერებაზე და სხვა და სხვა და ყოველი ესენი ძლიერ საჭირონი და თანაგრძნობის ღირსი საგნები არიან. მაგრამ ამ საგანზე გაჩერება, მათ გარეშემო ტრიალი და ამასთანავე კმაყოფილებით ძახილი, რომ მხოლოდ ამაზედ არის დამყარებული ჩვენი ქვეყნის ბედნიერებაო, იმასა ჰნიშნავს, რომ თქვენ მოქმედების პროგრამა ჯერ კიდევ არა გქონიათ შემუშავებული და მტკიცე ნიადაგზე დამყარებულიო“.

გ. მაიაშვილი მსგზავსად „იმედის“ ჯგუფისა აღარ კმაყოფილდება „ძველი თაობის“ მოღვაწეობით. ხოლო წინააღმდეგ „იმედისა“ იგი სრულიადაც არ უსაყვედურებს ძველ მოღვაწეებს იმას, რომ ისინი იცავდნენ ენას, თეატრს და სხვა ამგვარ ეროვნულ საქმეს, არამედ იმას უსაყვედურებს, რომ მოღვაწეთა ყურადღება მხოლოდ ამაზედ იყო მიპყრობილი. საკითხს გარკვეულად და პრინციპიალურად აყენებს ჩვენი მწერალი. და ამიტომაც დაიბეჭდა იგი „ივერიაში“, ძველ მოღვაწეთა ბუდეში და არა „იმედში“, საცა მას თითქოს უფრო ეკუთვნოდა ადგილი.

„გვკადნიერდები და ვიტყვი, გა ნგრძობს ჩვენი მწერალი, რომ ცოტა არ იყოს იმათივე (მესამოციანების) მოქმედების წყალობით მოძრაობამ მიიღო ერთგვარი ხასიათი, მეტის-მეტი ნაციონალური, მეტის მეტი, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, კულტურული და მხოლოდ მცირედ ხალხური“.

აქ უკვე „ნაროდნიკული“ ჰანგია, თუმცა ამ სიტყვებში ისახება სხვა რამეც ფრიად საყურადღებო. მოძრაობამ „მეტის-მეტი ნაციონალური“ ხასიათი მიიღო, და თანაც არკვევს, რომ ნაციონალური, ე. ი. კულტურულიო. აშკარაა, იმ დროს არც ახალ თაობას ჰქონდა ნათლად გარკვეული **პოლიტიკური აზრი** ნაციონალურის პრობლემისა. მათაც ძველებსავით ეგონათ, რომ ნაციონალური თუნდ „მეტის-მეტი ნაციონალური“ არის მხოლოდ კულტურული და არასოდეს პოლიტიკური. აშკარაა, რომ თუმცა ჩვენი მწერალი პოლიტიკურ პროგრამის მომხრე იყო, ხოლო ამ პროგრამას **ნაციონალური** ელემენტი არ ანიჭებდა პოლიტიკურ ელფერს. საკითხის ასე დაყენებაში ისახება „რუს-ნაროდნიკობის“ გავლენა ქართველ მოღვაწეზე. შემდეგში ჩვენ ვნახავთ, რომ ამ მხრივ გ. მაიაშვილი მართლაც რუსულ კულტურის და პოლიტიკო-სოციალურ მოძრაობის დიდ გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

მეორე საყურადღებო მოტივი მისის წერილისა არის, როგორც ვსთქვი, გლეხურ-ხალხოსნური მოტივები.

„თქვენ გეტყობათ, რომ გიყვართ სამშობლო, თქვენი ენა, ხალხი, მაგრამ არ გეტყობათ, რომ თქვენ ცნობიერად მოფიქრებული გქონდეთ პროგრამა საზოგადოებრივობის მოქმედებისა...“ რაშია საქმე? ისა, რომ „არც ერთ საზოგადო მოძრაობას არ ექნება არავითარი მნიშვნელობა, თუ რომ ხალხი იმაში ასე თუ ისე მონაწილეობას არ იღებს. ხალხი აძლიეს მოძრაობას დიდს ძალას და მნიშვნელობას...“ კი, მაგრამ მესამოცელების მოღვაწენი რომ ამისი წინააღმდეგნი არ იყვნენ? არ იყვნენ ხოლო მათი „ხალხოსნობა“ სულ სხვა ხასიათისა, ასე ვსთქვათ, ინტელიგენტური იყო. „შევაწყოთ და შევუთანხმოთ, განმარტავს თავის აზრს ჩვენი მწერალი, ჩვენი ნაწერების ხასიათი და მიმართულება ხალხის ინტერესებს და მოთხოვნილებათ, **ვისწავლოთ და განვითარდეთ ხალხთან ერთად, მასთან ერთადვე შევიმუშავოთ საზოგადოებრივი იდეალები** (კურსივი ჩვენია), რომელნიც მხოლოდ ხალხის მიერ მიიღებენ უაღრეს ძალას და შეიძლებენ ყოველგვარ ბრძოლას და დევნის ატანას... „ლიტერატურა უნდა შეიქმნეს უპირველეს ყოვლისა სახალხო ლიტერატურად, უკეთუ გვსურს, რომ მას ჰქონდეს გავლენა და ძალიერება, ფასი და მნიშვნელობა ჩვენის ქვეყნის საქმეების და საგნების გადაწყვეტის დროსო“...

აქ უკვე ტიპიური „რუს-ნაროდნიკის“ აზროვნება მოსჩანს. ინტელიგენციას ხალხისკენ ეპატიჟებიან საზოგადოებრივი იდეალების შესაძენად. რუსეთში ამგვარი მიმართულება ფრიად თვალსაჩინო იყო ერთ ხანად. ამ მიმართულებამ თავისი ელფერი დაადო არა მარტო სიტყვა-კაზმულ მწერლობას (უსპენსკი, ზლატოკრადსკი და სხვანი), არამედ პოლიტიკურ აზროვნებასაც, რომელიც გამოისახა „ნაროდნი ვოლი“-ს პოლიტიკურ პარტიის დაარსებაში. „ნაროდოვოლცების“ პროგრამის ქვა-კუთხედს რუსეთის „თემი“ შეადგენდა. საერთო მიწის მფლობელობას, რომელიც არსებობდა რუსეთში უაღრესს მნიშვნელობას აძლევდნენ სოციალურ წყობილების დამყარების საქმისათვის. რაიც შეეხება გ. მაიაშვილის წერილს, შიგ არა სჩანს, რა აზრისაა ავტორი საერთო მიწის მფლობელობის შესახებ. იგი იწვევს ინტელიგენციას ამ საკითხის გამოკვლევისაკენ. ეტყობა, მას რუსეთის შესახებ მტკიცე აზრი შეუდგენია, ხოლო ჩვენი ცხოვრების განმარტებაში კი ცოტა არ იყოს ყოყმანობს. გამოსარკვევი საგანია, „რაში მდგომარეობს საზოგადო ხალხის გონებრივი ვითარება და სულიერი წუხილიო?“. იოცა ეს ნათლად იქნება განძარტებული, მაშინ გამოჩნდება, რა ესაჭიროება ხალხს. ხოლო ამისათვის საჭიროა ხალხში ტრიალი და ხალხში ცხოვრება. ჩვენ ვიცით ეხლა, რომ იმ ხანებში ამ მოწოდებისაგან არა გამოვიდა რა. მართალია, ჩვენში გაჩნდა „ხალხოსნური“ ლიტერატურა, რომელსაც მწერლობაში შეუფერებელი სახელი დაერქვა, სახელდობრ, „ტენდენციათა მოტრფიალე“ ლიტერატურა, რომლის წარმომადგენელნი იყვნენ ს. მგალობლიშვილი და ლომაური. რაც შეეხება საზოგადოებრივ მოძრაობას, შედარებით რუსეთის მოძრაობასთან, სახსენებელიც არ არის ჩვენებური „ნაროდნიკული მიმართულება“ განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენში არ იყო ის ცოცხალი და კონკრეტული სოციალური მოვლენა „თემი“, რომლის იდეოლოგიური გამოკვლევათა მოსახდენად უნდა გამოთხოვნილ იქმნეს ხალხიდან ერთი მილიონი მანეთი. მინისტრთა საბჭომ წინადადება მოიწონა და გზათა მინისტრს ნება დართო, სათათბიროში შესაფერი კანონპროექტი შეიტანოს.

✦ **საცდელი სროლა** ჯარს ტფილისში ექმნება 10, 14, 18, 26 და 30 მარტს.

✦ ქალაქის **საბჭოს** სარევიზიო კომისიამ **საინტერესო საკითხი** აღძრა: ქალაქის თვით-მმართველობის კონტროლიორებს აქვთ თუ არა უფლება, ხმასნებს ცნობა გადასცენ ქალაქის თვით-მმართველობაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ. ამ საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად სარევიზიო კომისიას ამ დღეებში კრება ექმნება.

✦ კავკასიაში ნამესტნიკმა დასავლეთ საქართველოში **თოვლისა და წყალდიდობისგან დაზარალებულთა მდგომარეობის** გამოსაკვლევად გენერალი ეროფეევი, მოხელე ბ-ნი სოკოლოვი და შტაბ-როტმისტრი ლაჩინოვი გაგზავნა. მანვე ბრძანება გასცა, გადასდოს საერობო თანხიდან 5.500 მ. დაზარალებულთა საჩქაროდ მისაშველებლად.

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების** კრება მოჰხდება დღეს, თავადაზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში. კრებაზე პოლ. კარბელაშვილი წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ერეკლე მეფე და მადნის საქმე საქართველოში“. კრება საღამოს 8 საათზე დაიწყება.

✦ მოკლე ხანში მწერალ-ქალის **ეკატერინე გაბაშვილის თხუზულებათა საიუბილეო კრებული** გამოვა ქალთა წრის თაოსნობით. კრებულს ჩართული აქვს კრიტიკული წერილი კიტა აბაშიძისა და მწერალ ქალის სურათი.

✦ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო სომხურად გამოცემული: ა) ეგ. ნინოშვილის მოთხრ. „განკარგულება“, ავტორის სურათით, ბიოგრაფიულის ცნობით: ბ) თეოფ. ხუსკივაძის—„სასაფლაოზე“. ორივე წიგნი მეორე გამოცემაა, პირველი 5 კ. ღირს მეორე—3 კაპეიკი.

„მეოთხმოციანნი“ და „მეოთხმოცდაათიანნი“

(მასალები ქართველ ინტელიგენციის ისტორიისათვის).

(შემდეგი)

IV

ვინც მეოთხმოცე წლების მწერლობის ავ-კარგიანობას იკვლევს, არ შეიძლება გვერდი აუხვიოს გ. მაიაშვილს, საყურადღებო პიროვნებას და დაკვირვებულ მწერალს.

გ. მაიაშვილი არც ერთ ჯგუფს არ ეკედლებოდა, იგი განმარტოებითა სდგას, თუმცა თავისი სოციალ-პოლიტიკურის აზროვნებით იგი უფრო ახალ-თაობას და საოპოზიციო ჯგუფს უახლოვდება, იმ განსხვავებით კი, რომ მას მეტი გარკვეულობა და განსაზღვრულობა ეტყობა საზოგადოებრივ მოვლენათა დაფასების დროს. გ. მაიაშვილის მნიშვნელობა აგრედვე იმაში მდგომარეობს, რომ თავის ცნობილ მიმართვაში ძველ-თაობის წარმომადგენლებისადმი მან პირველმა მისცა ჩვენებურ „ხალხოსნურ“ და „გლეხურ“ მიმართულებას რუსეთის ინტელიგენციაში იმ დროს გამეფებულ „ნაროდნიკობის“ ანუ „ნოროდოვოლჩესტვოს“ ელფერი. ეს ელფერი შემდეგში, ოთხმოცდაათიან წლებში, ლალის ნაწერებში თითქოს უნდა გაღრმავებულიყო და განვითარებულიყო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ლალსაც აქვს, მართალია, „ნაროდნიკული“ სიმპატიები, გარნა ძარღვი და დედა-აზრი მის მისწრაფებათა ეკონომიურ და ეროვნულ პრობლემათა სინტეზისაკენ იყო მიპყრობილი.

საყურადღებოა, რომ გ. მაიაშვილმა ქართულად მხოლოდ რამდენიმე დიდი წერილი დასტამბა. ოთხმოცდაათიან წლებში იგი პრაქტიკულ მოღვაწეობაში გაერთო და ლიტერატურას მხოლოდ დრო-გამოშვებით უბრუნდება, თუ არ მივიღეთ მხედველობაში ერთი დრო, როდესაც იგი მუდმივი თანამშრომელი იყო „ნოვოე ობოზრენიე“-სი. ასე რომ გ. მაიაშვილის დაფასება როგორც პიროვნებისა, შეუძლებელია მხოლოდ მის ნაწერების მიხედვით. მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მისი პრაქტიკული მოღვაწეობა, რომელიც დღესაც არ შეწყვეტილა, ხოლო ეს კი მომავლის საქმეა და ჩვენ ამ მხარეს ამ წერილებში არ შევეხებით. გარნა გ. მაიაშვილის მაგალითი, სხვათა შორის, იმასაც გვიჩვენებს, რომ მწერლის მნიშვნელობა არ გაიზომება მის ნაწერების სიმრავლით და გარეგან ნაყოფიერებით, არამედ შინაგან ღირსებით და შინაგან ნაყოფიერებით. გ. მაიაშვილის შესახებ შეიძლება ვსთქვათ, რომ ამ მწერლის საზოგადოებრივი მნიშვნელობა განაკუთრებულის სიძლიერით ისახება მხოლოდ **ერთს** მის წერილში, რომელსაც, ჩემის აზრით, ქართული საზოგადოებრივი და პოლიტიკური აზნოვნების განვითარებისათვის ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს არის „წერილი ჩვენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა მიმართ“, დაბეჭდილი ჟურნალ „ივერიაში“ (№ VII) 1882 წელს.

ეს წერილი მით არის საყურადღებო, რომ აქ გარკვევით ისახება, როგორც ღირსება-ნაკლულოვანებანი მესამოციან წლების მოღვაწეებისა, ისე ახალი დროის, ახალ პოლიტიკური ფორმულის აღიარების საჭიროება. ჩვენი მწერალი ძველ თაობას იმაში ედავება, რომ მას

*) ივერია VII 1882 წ.

ახალი ამბები

ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ კვირას, 6 მარტს, კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე წ. კ. საზოგადოების გამგეობამ გადაიხადა **პანაშვიდი განსვენებულ კონსტანციატურიაშვილის სულის მოსახსენებლად**, რომელიც ამ ერთის წლის წინად გარდაიცვალა და მთელი თავის ქონება წ.-კ. საზოგადოებას უანდერძა. იგი იყო ტომით პოლონელი, ქართველს გაჰყვა მეუღლედ, სახელდობრ თომა ტურიაშვილს, რომელმაც ანდერძა თავის ცოლს თავის საცხოვრებელი. განსვენებულმა არ დაუკარგა ეს ქონება ქართველ საზოგადოებას და ქართულ საქმეს შესწირა.

✦ 6 მარტს სახალხო თეატრის შენობაში ტფ. **სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების** წევრთა საერთო კრების გაგრძელება მოჰხდა. კრება შეუდგა ანგარიშის იმ ნაწილის განხილვას, რომელიც უნივერსიტეტის გამგეობის მოქმედებასა და სკოლების მდგომარეობას შეეხება. ამ საგნის განხილვა არ დასრულებულა, რადგან კრება ჩქარა დახურულ იქმნა ქალაქის გამგეობის წევრის თავ. ა. მ. არღუთინსკის თხოვნით: დღეს თეატრში სალიტერატურო დილა არის დანიშნული და ამისთვის კრების გაგრძელება, თუნდაც იმ დარბაზში, სადაც ბუფეტი მოთავსებული, შეუძლებელიაო. კრება მომავალ კვირისთვის გადაიდო.

✦ 6 მარტს მეტეხის ციხიდან გაანთავისუფლეს ქართულ გაზეთის **„საქმე“-ს რედაქციაში დაპატიმრებული** ვლად. ახმეტელაშვილი, რომელსაც დაეკალა, სამის დღის განმავლობაში კავკასიის საზღვრები მიატოვოს. მას გადასახლება ხუთის წლით აქვს გადაწყვეტილი.

✦ **ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობნი,** რომელთაც ტფილისში სამი წარმოდგენა გამართეს, 6 მარტს ღამის მატარებლით ქუთაისში დაბრუნდნენ.

✦ **ტფ. ფუნიკულერნა** 6 მარტიდან მოძრაობა დაიწყო.

✦ **ქართულ სამეურნეო საზოგადოების** პირველი კრება მოჰხდება 13 მარტს, დილის 11 საათზე, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში.

✦ **სამეგრელოდან გვწერენ:** სადგურ აბაშის მახლობლად სოფელ კაპანაში, ერთის გლეხის ეზოში ორ ადგილას წყარომ იჩინა თავი, წყალს ნავთის სუნი უდის და ცეცხლიც ეკიდება. შესაძლებელია აქ ნავთის წყაროო იყოს.

✦ ქართველ გამომცემელთა ახალი აშხანაგობა, მიხეილ ნემსაძის მეთაურობით, უკვე შეუდგა ახალგაზრდა **პოეტის ა. შანშიაშვილის დრამატიულ პოემის „შვების თავადი“-ს** ბეჭდვას. წიგნი დიდის ფორმატისა იქმნება და მშვენიერს ქაღალდზედ დაბეჭდილი.

✦ **ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების** საერთო კრება, რომელიც 6 მარტისთვის იყო დანიშნული, არ შესდგა წევრთა კანონიერ რიცხვის დაუსწრებლობისა გამო და მომავალ კვირისთვის გადაიდო.

✦ **ვერის დალმართზე მომხდარ უბედურების საქმე,** რომლის გამოც სამართალში მიცემულია ტფ. ტრამვაის დირექტორად ნამყოფი ბატაილი და ინჟენერები ალექსანდერი და იზანდერი, 17 მარტს გაირჩევა ტფ. ოლქის სასამართლოში. ბრალდებულთ ნაფიცი ვექილი მ. ო. გრუზენბერგი იცავს.

✦ დღეს, საღამოს 7½ საათზე, **„მეშჩანთა“ საზოგადოების** რწმუნებულთა კრება მოჰხდება. კრება, სხვათა შორის, საზოგადოების მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვის განიხილავს.

✦ მოკლე ხანში სახელმწიფო საიათბირო განიხილავს საკითხს ბიატიგორსკში ოლქის სასამართლოს დაარსების თაობაზე.

✦ 24 თებერვალს მინისტრთა საბჭომ განიხილა **საკითხი შავის ზღვის რკინის გზის გაყვანის თაობაზე.** გზათა მინისტრის აზრით, განზრახულ გზას დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ექმნება. გზა სიგრძით 333 ვერსტი უნდა იყოს. დაახლოვებით მისი მოწყობა 45 მილიონი დაჯდება, რომელიც თანხაც ხაზინამ უნდა გიიღოს. წინასწარ გამოკვლევათა მოსახდენად უნდა გამოთხოვნილ იქმნეს ხაზინიდან ერთი მილიონი მანეთი. მინისტრთა საბჭომ წინადადება მოიწონა და გზათა მინისტრს ნება დართო, სათათბიროში შესაფერი კანონპროექტი შეიტანოს.

✦ **საცდელი სროლა** ჯარს ტფილისში ექმნება 10, 14, 18, 26 და 30 მარტს.

✦ ქალაქის **საბჭოს** სარევიზიო კომისიამ **საინტერესო საკითხი** აღძრა: ქალაქის თვით-მმართველობის კონტროლიორებს აქვთ თუ არა უფლება, ხმასნებს ცნობა გადასცენ ქალაქის თვით-მმართველობაში აღმოჩენილ ბოროტ-მოქმედებათა შესახებ. ამ საკითხის საბოლოოდ გამოსარკვევად სარევიზიო კომისიას ამ დღეებში კრება ექმნება.

✦ **ახალი წიგნები.** რედაქციამ მიიღო სომხურად გამოცემული: ა) ეგ. ნინოშვილის მოთხრ. „განკარგულება“, ავტორის სურათით, ბიოგრაფიულის ცნობით: ბ) თეოფ. ხუსკივაძის—„სასაფლაოზე“. ორივე წიგნი მეორე გამოცემაა, პირველი 5 კ. ღირს მეორე—3 კაპეიკი.

✦ ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოხანთა მორიგი კრება დღეს მოხდება. საბჭო სხვათაშორის, განიხილავს საკითხს ქალაქ ტფილისის საარჩევნო უბნებად დაყოფის შესახებ.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო, კავკასიის სცენებზე ქართულად წარმოადგინონ პიესა **„გამხეცებული დედა“**, სცენა 1 მოქმ. კნეინა ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

✦ ქადაქის სასანიტარო და სატექნიკო კომისიამ ხელმეორედ დასთანხმდა ბაზარჯიანცის თამბაქოს ქარხანა, რომელიც კვლავ უსუფთოდ აღმოჩნდა. ბაზარჯიანცს სამართლში აძდევენ.

✦ ნამესტნიკმა ნება დართო მ. გ. ივანოვს, პიატიგორსკსა და მის მიდამოებში სამგზავრო ავტომობილები ამუშაოს.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

✦ ხელოსანთა საკრედიტო ამხანაგობა სულ ერთი თვეა, რაც დაარსდა, მაგრამ ამხანაგობის წევრად გახდომის მსურველი ერთობ ბევრი აღმოჩნდა. ამხანაგობამ ძირითად თანხად სახელმწიფო ბანკიდან 1,000 მან. მიიღო. აღნიშნული თანხა ამხანაგობის გამგეობამ სულ დაურიგა წევრებს და ახლა ფულის გაცემა შესწყვიტა, რადგან ნივთიერი საშუალება არა აქვს იმ 80 კაცის თხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომელთაც ამხანაგობის წევრად ჩაწერა სურთ. გამგეობას იმედი აქვს, ამ ცოტა ხანში მოკლევადიანი სესხი (4,000 მან.) მიიღოს და მას შემდეგ ყველა მთხოვნელნი დააკმაყოფილოს.

✦ ჭალადიდის საზოგადოებაში წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ 10 მარტს საქალაქო თეატრში საქველმოქმედო წარმოდგენა გაიმართება სამუსიკო და ვოკალურ განყოფილებით.

✦ განზრახულია, ქუთაისში **რიონზე მეოთხე ხიდი გააკეთონ** იმ ადგილას, სადაც ახლა ბორანი მუშაობს. ამ საკითხს ქალაქის გამგეობა, ამ დღეებში განიხილავს.

✦ 4 მარტს, სადმრს 5 საათზე, საკათედრო ტაძრის მახლობლად მოედანზე დანიო მუტელი კისერა 80 წლის მოხუცმა გასიდ დგეთის ძეზედაც აშენდა რუსეთში მწყობრი სოციალ-პოლიტიკური დოკტრინა.

„რუს-ნაროდნიკის“ აზროვნება მოსჩანს განსაკუთრებით გ. მაიაშვილის წერილის იმ ადგილიდან, სადაც ჩვენი ავტორი ჰკიცხავს იმ ეკონომიურ პოლიტიკას, რომელსაც მთავრობა აწარმოებდა ბატონ-ყმობის განთავისუფლების ხანაში.

რეფორმატორები „გატაცებული იყვნენ, ამბობს იგი, ევროპიელ ქვეყნების წარმოების და მრეწველობის წარმატებით და მოინდომეს არა თუ განთავისუფლება ხალხისა ბატონ-ყმობისაგან, არამედ ამ საგნებთან ერთად მათ ისიც დაიდვეს საგნად, რომ მფარველობა აღმოეჩინათ და წაეხალისებინათ შინაური და მშობლიური მრეწველობა. ამითი, ეს მომქმედნი რეფორმისა, დიდათ შეცდნენ და თავის გულუბრყვილობაში გოდებდნენ, რომ ამგვარად ისინი ააყვავებენ და განავითარებენ ქვეყანას ეკონომიურადო“.

აქ მრეწველობის საკითხი იმ სახით არის დასმული, როგორადაც მას სვამდნენ „ნაროდნიკები“. რადგან რუსეთის იმედი-სხვა „თემი“ და თემობრივი მიწის მფლობელობა ეგონათ, რაიც ნიშნავდა ამ თემის საშუალებით სოციალიზმის დამყარებას, ამიტომ კაპიტალიზმს და მრეწველობის განვითარებას „ნაროდნიკები“ ალმაცერად უყურებდნენ და სწორედ ეს იქვიანობა გამოისახა ჩვენს მწერლის ნაწერშიაც. შემდეგში გ. მაიაშვილმა მრეწველობის მნიშვნელობის შესახებ აზრი შეიცვალა, მისი პრაკტიკული მოღვაწეობა ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის განვითარების საქმის გარშემო დატრიალდა, 1890 წ. ჩვენი ავტორი ჰბეჭდავს „საქართველოს კალენდარში“ ერთ წერილს

რომლიდანაც სჩანს, რომ გ. მაიაშვილი უკვე განთავისუფლებული იყო „სპეციფიკურ ნაროდნიკულ“ გავლენისაგან, რომ მას ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული ის ეკონომიური პროცესი, რომელიც სწარმოებდა საქართველოში ბატონ-ყმობის განთავისუფლების შემდეგ, „სრულიად და ძირეულად შეიცვალა მეურნეობა ქვეყნისა, ამბობს ჩვენი ავტორი თავის წერილში. ეს მეურნეობა წინად ბუნებრივი იყო, განცალკევებული და ახლა ფულებური რია, ახლა საადგილ-მიცემო შეიქმნა და დადგა ის მეუფება ფულისა, რომელიც არის ნიშნობლივი თვისება საადგილ-მიცემო მეურნეობისაო[1])“.

ფულმა დაარღვია წოდებრივი საზოგადოება და კლასიურს ჩაუგდო საფუძველი. „ბატონს ჩამოერთო მუქთა მუშა. ყმამ უკვე განთავისუფლებულმა, თავისთვის დაიწყო მუშაობა და მხნეობა. ამ ორ შუა ჩადგა ფული შუამავალივით და მაქანკალივით. ვისაც რა უნდოდა გაეკეთებინა, უნდა მუშისთვის დაექახნა და მუშა კი უფულოდ აღარას აკეთებდა. ფული საჭირო შეიქნა. სადაც უნდა ყოფილიყო, კაცს ფული უნდა ეშოვნა, რომ სასმელ-საჭმელი ჰქონოდა და ჩასაცმელ დასახურავი[2]).. ფულის მოსაპოებლად კი მხოლოდ ორი გზაა, როგორც მებატონესათვის, რომელიც ეხლა მარ ოო მემამულეა, ისე გლეხისათვის: ან უნდა გაჰყიდოს, რაც მოჰყავს სოფლად ე. ი. მიჰმართოს ბაზარს, ან უნდა ისესხოს. არის მესამე გზაც: მოჯამაგირედ დადგომაო[3])“.

ამ ახალ ეკონომიურ ძალას, გ. ძაიაშვილის აზრით ჩვენი თავად-აზ-

[1]) საქართველოს კალენდარი 1890 წ. გვ. 364.
[2]) იქვე, გვ. 365.
[3]) იქვე, გვ. 366.

ქოქაგამ, რომელსაც სიდარიბის გამო თავის მოგვდა კანუზრახა. მოხუცი საქირურგო სასავადმყოფოში გაგზავნეს სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად.

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

8.

ბაბილონის გოდოლი.

ჩუბინაშვილის ლექსიკონის გამოცემის გარშემო ატეხილ კამათში ახალი ელემენტი ჩაერია, კამათი თავის პირდაპირს მიზანს ასცდა. ჩვენი გაზეთის მეთაურში გამოთქმული აზრი, რომ ლექსიკონის გამოცემის დროს ბაზრულისა და ვაჭრულის ანგარიშით არ უნდა ვხელმძღვანელობდეთ, არამედ მეცნიერულითაო, გაზეთ „თემის“ ხელმძღვანელს ისე გაუგია, თითქოს ჩვენ ბ-ნ დ. კარიჭაშვილის ვაჭრულს ინსტინქტებზე ვლაპარაკობდეთ. „იმ მეთაურს წერილში,— სწერს გაზეთ „თემის“ ხელმძღვანელი,—რომლის შესახებ მოგახსენებთ, დავით კარიჭაშვილს სწამებენ(?), ვითომ ეს პატივცემული ჩვენი მოღვაწე ლექსიკონის შედგენაზე ქართულ ენაზე ბაასობს **ვაჭრულ** ინტერესების მიხედვით. ჩვენ აქ არ გამოვესარჩლებით ბ. კარიჭაშვილს, რადგანაც ის არავითარს გამოქომაგებას არ საჭიროებს. მხოლოდ ადვნიშნავთ, რომ ამ გვარად ახსნა ბ. კარიჭაშვილის მიერ [გამოთქმულ] აზრისა, **არ არის** საკადრისი (?) არც ერთ იმ რედაქციისთვის, რომელიც თავის თავს პატივსა სცემს“.

გაზეთ „თემის“ ხელმძღვანელი რომ ტლანქად არ აზროვნებდეს და მოუხეშავად არა ჰგრძნობდეს, ნათლად დაინახავდა, რომ პრინციპიალურ ხასიათის მეთაური წერილი არავითარს ჩრდილს არ აყენებს ბ-ნ კარიჭაშვილს როგორც საზოგადო მოღვაწეს. როდესაც „ვაჭრულ ხასიათზე“ ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს საერთოდ ლექსიკონის გამოცემის საქმე, რომელიც უქვემდებარდება ბაზრის მოთხოვნილებას და არა მეცნიერებისას. ამას ვეძახით ჩვენ საკითხის ვაჭრულად დაყენებას. ბ-ნი კარიჭაშვილი ამბობდა, ლექსიკონის გამოცემა იმიტომაა საჭიროა, რომ იგი უკვე გაიყიდა და მოთხოვნილება კი არსებობსო. მაშასადამე წიგნი გატანილ უნდა იქმნეს ბაზარზეო. ჩვენი მეთაური კი აღნიშნავდა, ეს ვაჭრული თვალსაზრისია და ამას არ უნდა გამოვეკიდოთ. ჩვენ მხოლოდ იმაზე უნდა ვზრუნავდეთ, რომ მეცნიერულად კარგად შემუშავებული ლექსიკონი გვქონდესო; მაშასადამე უნ-

ნაურობა ვერ შეეთვისა. „მამულები თავად-აზნაურობისა სწრაფად გადადის სხვის ხელშიო. ეს ისეთი ამბავია, რომ არ იქნება ურიგო დაფიქრებულიყვნენ მის გამო ისინი, ვისაც ჯერ კიდევ სჯერა, თავად-აზნაურობა თვით განგებით არის მოწოდებული ქვეყნის წარმატებისათვისო, დასძენს იგი[4]). ეს მაგრამ თავად-აზნაურობის დაქვეითება ავტორს არ ანაღვლებს, რადგან, ავტორის აზრით, ერს წარმატების ნიშნები აშკარად ეტყობა. „ერთის მხრით განათლებას ვეტანებით, ამბობს იგი, ვგრძნობთ ერთობას ეკონომიურის, ზნეობრივის და გონებრივის ინტერესებისას, თუნდა ერთი ქართველი ვიყოთ, ან კახელი და მეორე მეგრელი, ან იმერელი. ამ ერთობის გრძნობიდამ იბადება ის აზრიც, რომ სამშობლოც ერთი გვაქვს, ერიც ერთი ვართო[5])“.

ამ წერილის არსებობა ბევრმა არც კი იცის. იგი კი დიდ მნიშვნელოვანია, როგორც მაჩვენებელი ერთგვარის საზღვარისა, რომელმაც გ. მაიაშვილის „ნაროდნიკობისას“ ფერი და მიმართულება შეუცვალა.

ხოლო ჩვენ აქ გვაინტერესებს ის, თუ როგორ და რამდენად ისახებოდა განსაზღვრულ ხანაში რუს ინტელიგენციის გავლენა ჩვენს ახალგაზდობაზე და საზოგადოებრივი აზრის მსვლელობის განვითარებაზე. და ამ მხრივ ჩვენ ვნახეთ, რომ ეს გავლენა თვალსაჩინოდ მოსჩანს გ. მაიაშვილის „ხალხოსნურ“ მიმართულების ნაწერში.

იმ ხანაში, როდესაც ხანგრძლივის ძილის შემდეგ, ჩვენში იწყებოდა ეროვნულ-კულტურული აღორძინება, ხოლო ქართული აზროვნება ჯერ კიდევ არ მისულა

[4]) იქვე. გვ. 368.
[5]) იქვე. გვ. 371.

ამ ბრალდებათაგანი ჩვენ პასუხის ღირსად არ მიგვაჩნია, რადგანაც ისინი ნაყოფია ტლანქად მოაზრე პიროვნების აპილპილებულ გრძნობისა..

შეუძლებელია მსჯელობა იმისთანა პირთან, რომელსაც ყველა გამვლელ-გამომვლელი ბურთსავით გაათამაშებს ხოლმე ჩვენ აშმორებულ ცხოვრების მოედანზე.

შინაური.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ ᲥᲐᲚ. ᲠᲬᲛᲣᲜᲐᲒᲣᲚᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ

ისე არასოდეს არ მზარებია საგაზეთო წერილის დაწერა, როგორც ამ ჟამად. მხოლოდ მეხუთე დღეს ვწერ იმ სამწუხარო ამბავს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქალაქის რწმუნებულთა არჩევნებში 27 თებერვალს, და რომ შეიძლებოდეს, დავმალავდი; მაგრამ რადგანაც ფაქტი უკვე ცხადი შეიქმნა, მეც ძალაუნებურად უზიარებ მკითხველს.

საუბედუროდ, გამმართლდა ჩემი შიში („სახალხო გაზეთი“ № 241) რომ ვაი თუ კენჭი იყარონ ისეთმა შეუფერებელმა პირებმა, რომლებიც რაიმე ანგარიშით ხელმძღვანელობენ და ქალაქისათვის-კი ნაკლებ შესტკივათ გული მეთქი, და ვურჩევდი შესაფერი კანდიდატები ამოერჩიათ, მაგრამ ამას ვინ მიაქცევდა ყურადღებას, როდესაც ამ სტრიქონების დამწერი, როგორც ხმოსანი, პირადად ვსთხოვდი ქალაქის მამებს მოელაპარაკნა შესაფერისი კანდიდატების ამორჩევაზე, მაგრამ გვერდს მიქცევდნენ, თურმე ძალლის თავი სხვაგან ყოფილიყო დამარხული, რაც 27 თებერვალს გამოაშკარავდა.

არჩევნებში გვიან, 11 საათზე მივედი. სომხის სკოლის ვეებერთელა დარბაზში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი, ეზოც სავსე იყო, ასე 200—250 კაცი იქნებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ წინა არჩევნებში, 1906 წელს, მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 32 მოქალაქემ, იმის წინადაც მცირე რიცხვი იყო. აშკარა შეიქმნა ეს აპოდენა ხალხი თავის ნებით არ იყო მოსული.

სიის შემოწმების შემდეგ, რომელიც კარგა ხანს გაგრძელდა, ამომრჩეველთა რიცხვი 203 კაცი დარჩა. უმრავლესობა სომხობა, უმცირესობა ქართველობა. შემდეგ ბარათებით დაასახელეს ხმოსანთა კანდიდატები და დაიწყეს მისი კითხვა, მაგრამ რადგანაც ეს დიდ დროს მოითხოვდა, ნახევარ საათის წაკითხვის შემდეგ შეწყვიტეს და დამსწრეთა თხოვნით კანდიდატებს ყუთები დაუდგეს. კანდიდატებად დასახელებული აღმოჩნდნენ როგორც ქართველები, ისე სომხები. მათ მიერ მიღებულ ხმათა რიცხვი ბევრად არ განირჩეოდა ერთი-ერთმანეთისაგან. 58 დასახელებულ პირთაგან კენჭი იყარა სულ 28 კაცმა. ამათში იყო 17 სომეხი, 10 ქართველი და 1 რუსი.

კენჭის ყრა ღამის 11 საათზე გათავდა. ამორჩევის შედეგი ძალიან ცხადი იყო. ამოირჩიეს სულ სომხები—ქართველი კი არც ერთი. ქართველი და რუსი კანდიდატები დიდის უმრავლესობით ყველანი გაშავეს. ორი ქართველი კანდიდატად მოჰყვნენ, მაგრამ, რა დაინახეს ასეთი შეუფერებელი საქციელი, იმათაც უარი განაცხადეს, პროტესტის ნიშნად:

ხმოსნებად ამორჩეულ იქმნენ:

	თეთრი	შავი
მიხ. თათუზოვი „ „ „	154	36
არ. ტერ-სარკისოვი „	145	47
გ. თათუზოვი „ „ „	149	41
ბ. ბეგიჯანოვი „ „	143	47
ბ. კოსტიევი „ „ „	142	47
მიხ. ტერ-არუთინოვი „	140	50
ვ. ყულიჯანოვი „ „	141	30
ალ. მათიკოვი „ „ „	140	50
არ. კირაკოზოვი „ „	139	53
ნ. ბარძიმოვი „ „ „	139	51
ანა. საფაროვი „ „ „	138	52
ლ. თათუზოვი „ „	135	36
ალ. დავიდოვი „ „	132	53
ნ. სოლოროვი „ „ „	132	39
გრ. ქოჯლოევი „ „	126	45

მათ კანდიდატებად:

გ. დემუროვი „ „ „	116	55
მიხ. ციხკარიშვილი „	105	85
გ. კურდღელაშვილი „	96	93

(ამ უკანასკნელმა ორმა უკვე თხოვნა შეიტანეს განთავისუფლების შესახებ).

გაშავებულ იქმნენ:

		თეთ.	შავი
ფ. იშხანოვი „ „ „		93	113
ვანო პაატაშვილი „ „		83	123
რ. კურდღელაშვილი „		82 —	110
ივ. ევხტიფეევი „ „		79 —	111
გ. ხიზანაშვილი „ „		76 —	115
თავ. ზაქ. ჭავჭავაძე „		67 —	123
იოს. პაატაშვილი „		77 —	93
გ. იორდანაშვილი „		68 —	122
ალ. ნაიბოვი „ „ „		64 —	126
ი. დათუნაშვილი „		66 —	125

დასახელებულ კანდიდატების ბიოგრაფიას არ შევეხები, მხოლოდ ვიტყვი, რომ გაშავებულია შორის უფრო მეტნი არიან შესაფერისი პირნი. მაგ. ერთი თელავ-თიანეთის მაზრ. თავ.-აზნ. წინამძღოლის მდივანია და წინანდელი ხმოსანი, მეორე მოხელე და სხვა. გათეთრებულთა ჰირადობას არ შევეხები, ვაი თუ მიკერძეობა დამწამონ, მხოლოდ მათს ღირსებებზე კი თელავში ბევრსა ლაპარაკობენ. საერთოდ ასეთმა არჩევნებმა დიდი მოთქმა-მოთქმა გამოიწვია.

თელავში, სადაც ქართველები ორმესამედს შეადგენენ, სიმართლე ითხოვდა ქალაქის გამგეობაში მათაც თავისი წარმომადგენელი ჰყოლოდათ, რისთვისაც ეხლანდელი არჩევნები (ქართველების გაშაყება და სომხების არჩევა) თვალებში უვარდება ადამიანს, თუმცა უნდა დაუმატო, რომ ეს არც ისეთი თითზე დასახვევია, ოღონდ-კი გათეთრებულმა სომხებმა შესძლონ თავიანთი თანამდებობის პირუთვნელად და პირნათლად სამსახური ქალაქის მცხოვრებთა სასარგებლოდ, მაგრამ, ვაი რომ ეს ასე არ იქნება. ბევრი მათგანი არა თუ აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებს ქალაქის საზოგადო საქმეებში, არამედ თვეში ერთხელ ქალაქის ჩვეულებრივ სხდომებზე არც-კი ივლის, და ამნაირად მომავალ 4 წლის განმავლობაში თელავი, თავის 18 ათას მცხოვრებით, უპატრონოდ უზრუნველი რჩება და მისი საქმეების გამგებლობა მარტოდ-მარტო ქალაქის მოურავს ჩაუვარდება ხელში.

ეს კი რასაც ნიშნავს, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით.

დავიწყებული.

ᲠᲣᲡᲔᲗ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲗᲐᲜᲬᲛᲝᲑᲐ

შემაძრწუნებელი ამბები.

ხარბინიდან იტყობინებიან: ჩინელთა შორის აღელვება ძლიერდება. ევროპიელთა საწინააღმდეგო აგიტაცია ადამიანს 1890 წელს აგონებს.

რკინის გზების განზრახ გაფუჭება ხშირდება. სადგურ „მეისაცზი“-ს მახლობლად ხიდზე, მატარებლის გადაბრუნება განიზრახეს.

თუმცა ჭირი მოისპო, ჩინელები სამშობლოში მაინც მიდიან. აუარებელი ნიშნებია იმისი, რომ ჩინელთა შორის დიდი მოძრაობაა. ჩინეთის ჯარებს თავს უყრიან და აიარაღებენ.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ

საკუთარის პოლიტიკურ-ეროვნულის ფორმულის აღიარებამდე, რუს-ინტელიგენციის და საზოგადოთ რუსული კულტურის ზედგავლენა ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს ახალგაზდობაზე მართლაც და განუსაზღვრელი იყო. მართალია, ეს გავლენა შემდეგ ეპოქაშიაც ძლიერია, იქნებ უფრო ძლიერი, ვიდრე ოდესმე ყოფილიყოს ჩვენს კულტურულ წრეებში, მაგრამ ამ უკანასკნელ ხანაში უკვე შემუშავდა და მომწიფდა სხვა ძალაც, ნაციონალურ-პოლიტიკური შემეცნება, რომელიც ასე თუ ისე წინააღმდეგობას უწევდა ჩვენს ისედაც პირადობის და საკუთარ ვინაობის შეგნებას მოკლებულ ინტელიგენციას და აფრთხილებდა მას სრულს გათქვეფისაგან გარეშე კულტურის ატმოსფერაში, რომელიც ხშირად არ ეგუებოდა არც ჩვენს ინტერესს, არც ჩვენს მოთხოვნილებას. ხოლო მეოთხმოცე წლებში გარემოება უფრო უნუგეშო მდგომარეობაში იყო. მესამოცე წლების მოღვაწენი, მართალია, ფართო იდეალების ზედგავლენის ქვეშ იყვნენ აღზრდილნი. რუსეთის საუკეთესო მოღვაწენი იყვნენ ხშირად საუკეთესო მეგობრები და ამხანაგები ჩვენი მოღვაწეებისა. და მესამოცე წლების მოღვაწეებმა მოიმოქმედეს ჩვენში ფრიად დიდი საქმეები. ისინი რუსეთში არ დარჩენენ. შეითვისეს რა ის, რაც საუკეთესო იყო უცხო ქვეყანაში, თავის სამშობლოს დაუბრუნდნენ და სამშობლო იყო მათი მოღვაწეობის ასპარეზი. ჩვენს ქვეყანას, რა თქმა უნდა, შემდეგშიაც ჰყავდნენ ერთგული მუშაკნი და მოღვაწენი. მაგრამ შემდეგში აღმოჩნდა ის, რაც წინად არ სჩანდა. აღმოჩნდა ჯერ ერთი ის, რომ დიდ-ძალი ახალგაზდობა, ხშირად მისი საუკეთესო ნაწილი, თითქმის სამუდამოდ ეკარგებოდა ჩვენს მხარეს. ბევრნი იღებდნენ მონაწილეობას რუსეთის პოლიტიკურ მოძრაობაში (სახეში 1870 წლები მაქვს) და თავის სიცოცხლეს სწირავდნენ ამ მოძრაობას. საქებური საქმეა, ერთის მხრივ, რადგან მაშინ ისე სჩანდა, რომ რუსეთის ჭირ-ვარამი ჩვენი ჭირ-ვარამია და რუს-ინტელიგენციის იდეალი ჩვენი ინტელიგენციის იდეალი უნდა ყოფილიყო. და ასედაც იყო. ეს მსხვერპლი, რასაკვირველია, უმნიშვნელო არ დარჩა. მსხვერპლს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისი აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ ეს კი აშკარა იყო, რომ ჩვენს სამშობლოს წრეს აკლდებოდა ხალხი, აკლდებოდა ნასწავლი, გამჭრიახი და ნიჭით აღჭურვილი ინტელიგენტი ძალა. ეროვნულ კულტურის აღორძინების პირველ საფეხურზე ვიდექით და ამ საქმისთვის საგრძნობი იყო ეს დანაკლისი. მაგრამ აღმოჩნდა კიდევ სხვა გარემოება. აღმოჩნდა, რომ ერთი ნაწილი ჩვენის ახალგაზდობისა, მშობლიურ ნიადაგს დაშორებული, თანდათან ჰკარგავდა ეროვნულ ფიზიონომიას და ხშირად ეროვნულ ნიჰილიზმის გრძნობებით იმსჭვალებოდა. ამ მოვლენასაც თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა ჩვენს საზოგადოებაში. მოიგონეთ თუნდაც მეოთხმოცდაათ წლებში ნარ-დონის გამოლაშქრება „Сѣверный Вѣст.-“ში თავის ცნობილ „Письма о Грузій“-ს წერილებში. საყურადღებოა, რომ ის სულიერი მიდრეკილება, რომლითაც იყო გამსჭვალული ნარ-დონი მარტო მის პირად კუთვნილებას არ შეადგენდა. როდესაც ჭავჭავაძემ თავის არა ნაკლებ ცნობილ „აი ისტორიაში“ გასცა პასუხი ნარ-დონს, ტფილისში არსებულმა რუსულმა გაზეთმა, „ნოვ. ობოზრენიე“-მ, რომელსაც მაშინ ნ. ნიკოლაძე ხელმძღვანელობდა, არამც თუ მხარი არ დაუჭირა ჭავჭავაძეს და არ გაჰკიცხა ნარ-დონი, პირიქით, სასაცილოდაც აიგდო, ამ საკითხს არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვსო და გვიკვირს ნარ-დონისაგან რომ მოუცლია მისთვისაო.[1]) ასე რომ ჩვენთვის სამკვდრო-სასიცოცხლო კითხვად გადაიქცა გამორკვევა იმისა, თუ რა გზას უნდა ადგეს ჩვენი ახალგაზდობა. მეოთხმოცე წლებში ეს საკითხი უკვე სავსებით იყო მომწიფებული და მის შესახებ საყურადღებო სჯა-ბაასიც იმართებოდა ჟურნალ-გაზეთობაში.

გ. მაიაშვილი, პირმშო „რუს-ნაროდნიკობისა“, წინააღმდეგი იყო ქართველ ახალგაზდობის განცალკევებისა რუსეთის ახალგაზდობისაგან.

„ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა, ამბობს იგი თავის საყურადღებო წერილში „ძველი და ახალი თაობა“, ფიზიზლად და თვალ-გაფაციცებით ვადევნებდეთ თვალ-ყურს და ვიძიებდეთ რუსეთის ცხოვრების ვითარებას და შეძლებისა დაგვარად, ჩვენც ხელს ვუმართავდეთ რუსეთში და მით ჩვენშიაც კეთილის ზნეობისა და უკეთესის ცხოვრების დამყარებას.[2])

და ჩვენი ახალგაზდობაც ერთხანად სწორეთ ამ გზაზე იყო. მაგრამ გ. მაიაშვილი უკმაყოფილოა. ორ ინტელიგენციათა შორის თითქოს გასწყდა სოლიდარობაო:

„წინად ერთი და იგივე ღმერთები სწამდათ, ერთსა და იმავე ხატებს ეთაყვანებოდნენ. ამგვარად ჩნდებო-

[1]) იხ. „ივერიის“ და „ნოვ. ობოზრენიეს“ ნომრები 1889 წლისა.
[2]) „ივერია“ N 226. 1889 წ.

[1]) საქართველოს კალენდარი 1890 წ. გვ. 364.
[2]) იქვე, გვ. 365.
[3]) იქვე, გვ. 366.
[4]) იქვე. გვ. 368.
[5]) იქვე. გვ. 371.

ჩინეთის ტელეგრაფმა ევროპიელთა შიფრიან დეპეშების მიღებაზე უარი განაცხადა.

რუსების საადმინისტრაციო და სამხედრო წრეებში აღარა ჰმალავენ, რომ არეულობა ადვილი შესაძლებელია.

ჩინელები მონგოლიაში პროკლამაციებს ავრცელებენ. პროკლამაციებში, სხვათა შორის ნათქვამია, რომ რუსები მონგოლეთისაკენ ხელს აწვდიან, მონგოლებისა და ჩინელების მეგობრობის დარღვევასა ცდილობენო. პროკლამაცია ასე თავდება:

„უნდა მოვიგეროთ რუსები. მოიგონეთ ძველი დრო. ნუთუ მონგოლელთა მრისხანე მხედრობა მოსკოვისაკენ ხელ-ახლად გალაშქრებას ველარ შესძლებსო“?

ხარბინის მმართველებმა მთავრობას დეპეშით უკმაყოფილება გამოუცხადეს რუსეთის ულტიმატუმის გამო, რომელიც თხოულობდა, რუსებისა და ჩინელებისაგან შემდგარი საერთო სასამართლო შენახულიყო. აღმოჩნდა, რომ ახალ დაოტაის გოცზის მინდობილი ჰქონდა მოეწყო ახალი „შანპანტინად“ წოდებული სასამართლო. ეს სასამართლო ევროპიელთა ექსტერიტორიალურ უფლებებს ჰზღუდავს და უცხოელთა ელჩების პროტესტის მეოხებით შანჰაიში ვერ შემოიღეს. ამ ახალ სასამართლოს შემოღებისათანავე, გამოვიდა ჩინეთის ახალი საპოლიციო წესები. ამ წესების ძალით ჩინეთის პოლიციას შეუძლიან ევროპიელი დაატუსაღოს და საკონსულოს მხოლოდ მაშინ გადასცეს, როდესაც საქმეს ჩინელები გაარჩევენ. სამოქალაქო საქმეთა გარჩევის დროს, ჩინელები სასამართლოში ელჩების აგენტებს უშვებენ, მაგრამ საქმის წარმოებაში მონაწილეობის მიღების უფლებას კი არ აძლევენ. რუსთა და ჩინელთა შორის ატეხილ დავის გადაწყვეტა საერთო სასამართლოში შეუძლებელი ხდება. ჩინელი მოსამართლეები ობსტრუქციებს ახდენენ, მეკრთამეობენ და სასამართლოში არ დადიან.

„შანპანტინის“ შემოღება დავათა საერთოდ გადაწყვეტას შეუძლებლად გახდის, ევროპიელთა ხელშეუხებლობას გააქარწყლებს და რახან, ჩინელებს თავიანთ უფლებების გაფართოება უყვართ, რუსების ექსტერიტორიალურ უფლებებს მოსპობს.

გამოირკვა, რომ დაოტაოიუნი, მთავრობის მიერ ევროპიელთა დასამშვიდებლად გადაყენებული, ნამდვილად თავის ადგილას გაჩენილა და რუსთა საწინააღმდეგო ბოიკოტს ხელს უწყობს. ეს ის იუნია, რომელიც ჰირის დროს ევროპიელთა სანიტარებს ხელს უშლიდა. ასეთი გულ-

---

*) იქვე.

**) „იმედი“ N 5. 1881 წ.

წრფელობა ჩინეთისა მისდამი ნდობას საეჭვოდა ხდის. საეჭვოა ენდოს ადამიანი პეკინის მთავრობის დაპირებას: ხელ შეკრულებას ავასრულებთო და ამავე დროს კი „შანპანტინის“ შემოღებას სცდილობს, რაც ხელ-შეკრულებით ეწინააღმდეგება.

გირინის გუბერნატორის ბრძანებით, სამსახურის გარეშე მყოფი ოფიცერი, მილიციის უმფროსი ქალაქ-სოფლებში დადის და ახალ-გაზრდა ჩინელებს აგროვებს, აიარაღებს და აქეზებს პირველ მოთხოვნილებისათანავე სამშობლოს დასაცავად გამოდითო.

მუკდენიდან იაპონიის გზათა ოფიციოზი იტყობინება: ჩინელებმა სადა „კუნჩენ-ცზინში“ 110 ტონი (ტონი 65 ფუთია) ოფის წამალი, 142 ყუთი თოფი და ორი სამთო ზარბაზანი გაგზავნეს. ეს ჯაბარ-ხანა ჩრდილოეთისაკენ უნდა გაიგზავნოს. რამდენიმე დღის წინედ 40 ურემი იარაღი იქითვე გაიგზავნა.

ჩინეთის ნოტა.

ჩინეთის უკანასკნელმა ნოტამ, პეტერბურგის სადიპლომატო წრეებში მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. საკვირველი იყო ეს ნოტა, მით უმეტეს, რომ მთავრობამ წინა დღეებში პეკინში მყოფ ელჩისაგან დეპეშა მიიღო: ჩინეთი რუსეთის ყოველ მოთხოვნილებას, რაც კი რუსეთის ნოტაშია მოხსენებული, შეასრულებსო. ჩინელების უკანასკნელი ნოტა კი მოულოდნელი აღმოჩნდა. პეტერბურგში ამ ნოტას იმითა ჰხსნიან, რომ ჩინეთის მთავრობა, ჩინელთა დამშვიდებასა სცდილობსო. მაგრამ, ნოტას კი იმ ხასიათს აძლევენ, ვითომ ჩინეთს რუსეთის გამოწვევა ჰსურს. პეკინიდან მოსული ნოტის მიღებისათანავე გარეშე საქმეთა სამინისტროში კრება გაიმართა. კრებაში მონაწილეობა მიიღო გარეშე საქმეთა სამინისტროს მოურავმა ნეგროვმა და შორეულ-აღმოსავლეთის საქმეთა გამგემ—კაზაკოვმა. კრების შემდეგ, ცარსკოე სელოში დაწვრილებითი წერილი გაიგზავნა.

სამინისტროს ჩვენებით პეკინელ ელჩს დეპეშა გაეგზავნა. სამინისტრო ინსტრუქციებს აძლევს და ურჩევს, ჯერ-ჯერობით გადაპრით ნუ იმოქმედებო. ამასთანავე ატყობინებდნენ, რომ რუსეთი მონგოლიის საელჩოს დაწესებისა და დიდი კედლის იქით ჩაის უფასოდ ვაჭრობის საკითხს არ დაუთმობსო. დეპეშა მკვახე კილოთი იყო შედგენილი. რუსეთის დიპლომატიას როგორც ეტყობა გადაწყვეტილი აქვს პეკინელ მთავრობასთან ყოველივე მოლაპარაკება შესწყვიტოს და მოსთხოვოს ჩინეთს, რომ მან, რაც

თარი ინტერესები ექნება, თ ვისი ცხარე, გულის-დამწველი საქმეები და მისთვის კეთილსინდისიერი მზადებანი, როგორც ეროვნებს წარმომადგენელს ჯგუფს, მის ხორცს ხორცთაგან და ძვალს ძვალთაგან. ზოგნი ამ ორ გზის შუა საშუალო გზას ჰპოულობენ. შეიძლება ძალთა-მძლეობით ეს გზა შეესაბამებოდეს ეხლანდელს ჩვენს დროებითს მდგომარეობას, მაგრამ საბოლოოდ საშვილი-შვილოდ რომ ვილაპარაკოთ, ჩვენი უღრმესი რწმენაა, რომ ჩვენ ხათრისთვის ღარ გვცხელა, თუ ძალადობა არ იქნება და მით უკეთეს მსხვერპლის მიტანა ღირავისთვის არ შეგვიძლიანო“.

გზა ეროვნულ პოლიტიკის გამოსარკვევად ოდნავად იწალდებოდა. ეს პოლიტიკა კულტურულ თავისებურობის აღიარებიდამ იწყება. მომავალში იგი უნდა დამთავრებულიყო ეროვნულ უფლებების აღიარებით. ხოლო კულტურული საფუძველი, რომლისათვისაც საჭიროა ახალ-გაზდობისათვის განცალკევებულის ფიზონომიის გამოსახვა, მკვიდრი და საპატიო საფუძველია და მასზედ უნდა დასდგომოდა და დადგა კიდევაც ერთი ნაწილი ჩვენი ინტელიგენციისა. გრ. ყიფშიძე განაგრძობს: „მათი მთას მწვერვალებამდე ასული ევროპული განათლება ორ იყო დაფუძნებული და დამყარებული მშობლიურს ნიადაგზე, ე. ი. იმ განათლებას არ ჰქონდა საფუძვლად საშობლო ქვეყნის და ხალხის შესწავლა, მისი წარსული ისტორიული ცხოვრებისა ვრცლად და თანმიმდევრული ეთნოგრაფიულად, ეკონომიურად, სოციოლოგიურად და სადაურადაც გნებავსთ. მოღვაწეთა ინტერესები ექნება, თ ვისი ცხარე, გულის-დამწველი საქმეები და მისთვის კეთილსინდისიერი მზადებანი, როგორც ეროვნების წარმომადგენელს ჯგუფს, მის ხორცს ხორცთაგან და ძვალს ძვალთაგან. ზოგნი ამ ორ გზის შუა საშუალო გზას ჰპოულობენ. შეიძლება ძალთა-მძლეობით ეს გზა შეესაბამებოდეს ეხლანდელს ჩვენს დროებითს მდგომარეობას, მაგრამ საბოლოოდ საშვილი-შვილოდ რომ ვილაპარაკოთ, ჩვენი უღრმესი რწმენაა, რომ ჩვენ ხათრისთვის ღარ გვცხელა, თუ ძალადობა არ იქნება და მით უკეთეს მსხვერპლის მიტანა ღირავისთვის არ შეგვიძლიანო“.

ახალგაზდობამ სუყველაფერი იცოდა, თვინიერ თავისი სამშობლოისა და ქვეყნისა. ეს ისეთი უბედურება იყო ჩვენ თავს რომ მარტო ბრმები თუ ვერ ხედავდნენ და ვერ „გრძნობენ მის საშინელს ნაწყვეტებს დღესაც“.

დღესაც! ე. ი. ოთხმოციან წლებში. ხოლო ვინა სთქვა, რომ მეოცე საუკუნეშიაც ამგვარივე უბედურება არ დასტრიალებს ჩვენს საზოგადოებას და ნაწილი ჩვენის ინტელიგენციისა იმგვარივე სენით არ ყოფილიყოს დაავადებული იმ განსხვავებით კი, რომ ახლა ეს სენი უფრო ფართო წრეებშია მოდებული და მის განსამართლებად და დასაცავად განსაზღვრული სოციალ-პოლიტიკური თეორიაც არის დამზადებული.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ გ. მაიაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი თითქმის დასტიროდა სოლიდარობის დაკარგვას ინტელიგენციათა შორის, არასოდეს არ ეკუთვნოდა იმ გუნდს ახალგაზდობისას, რომელთაც ჭეულისხმობს გრ. ყიფშიძე. ბევრი განსაცდელის და ტანჯა-ვაების შემდეგ დაუბრუნდა თუ არა იგი სამშობლოს, იგი გახდა დარაჯად საზოგადოებრივის და ქართულ კულტურის ინტერესებისა და ხან მწერლობაში და უფრო კი პრაქტიკულ მოღვაწეობის დროს ყოველთვის იჩენდა ღრმა ცოდნას და დაკვირვებას ჩვენი ქვეყნის როგორც წარსულისა, ისე აწმყო მდგომარეობისა. ამას ჩვენ დავინახავთ მის ნაწერების განხილვიდამ.

არჩილ ჯორჯაძე.

(შემდეგი იქნება)

---

*) იქვე.

**) „იმედი“ N 5. 1881 წ.

და ერთნაირი ჰაერი, წმინდა და მარგებელი, იბადებოდა მტკიცე და ყველასათვის სასარგებლო ამხანაგობა და კავშირიო.“*)

მართლაც იცვლებოდა გარემოება. სოლიდარობა, ნამდვილი კავშირი შესაძლებელია ორ სწორუფლებიან ადამიანთა შორის. და თუ ეს სწორ-უფლიანობა არ არის, არც ნამდვილი სოლიდარობა არის. ჩვენმა ინტელიგენციამ თითქოს იგრძნო ეს გარემოება და თვით გამორკვევის კითხვაში იყო გართული. ჯერ კიდევ 1881 წელს ჟურნალ „იმედში“ გრ. ყიფშიძე თავის წერილში „თავიდგან თუ ბოლოდგან“**) სადად, გარკვეულად და კატეგორიულად აყენებს საკითხს: „ჩვენის აზრით აქ ორი გზა არისო, ამბობს იგი, ან ჩვენმა სტუდენტობამ აიღოს ხელი თავის საშშობლო ქვეყანაზედ, შეუერთდეს რუსეთის სტუდენტობას სულით და გულით, დაჰკარგოს თვისება თავისი და განსაკუთრებითი სულიერი სახე, გაუერთოს სიხარული და სევდა სუსეთის ახალგაზდობას: იტანჯებოდეს იმით, რითაც იგი იტანჯება და უხაროდეს ის, რაც მას ახარებს; ან და გასდგეს განზედ მისგან, გასდგეს როგორც მიუდგომელი დამკვირვებელი და შემსწავლელი უცხო ცხოვრებისა, უცხო მოვლენათა და აკვირდებოდეს მათ იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა თავის ხალხის ცხოვრების შესასწავლელად. ორში ერთი: ან შეერთდეს რუსეთის ახალგაზდობასთან და სწორონ ერთი ჰაპანი, ან შეადგინოს თავის საკუთარი წრე, რომელსაც თავისი საკუ-

---

ბ. ვ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ბ. პ. კარაპეტიანცი: 1—11/2 ს. შინაგან. და საბავშვო.

ბ. გ. ავგასროვი: 11/—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

ს ა ლ ა მ ო თ ი:

ქალ. ეკ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—61/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარცეშევსკი: 6—7 ს. შინ.-განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

11—12 სათ. **606** წ ა ვ ა ლ ო ბ ა
კონსულტაციურად
რჩევა 50 კაპ. დარიშებს უფასოდ, გეხსულტაციები და ფეფრაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოტქორი ბ. ბ. ნავასარდიანი.

ქართა ავსარქისოვეგის
ბალეულობაში
იყიდება საზღვარ-გარეთული, რუსული და საუკეთესო ადგილობრივი
სანერგე ხეილები
ხელმისაწვდომ ფასებში.
ადრესი: სკრა (ამიერ კავკ. რკ. გზა) ავსარქისოვი. **კატალოგები მოთხოვნილებისათანავე უფასოდ იგზავნება.**
(5—1096—5

პრემია
ამ გაზეთის ყველა მკითხველს, უფასოდ ვაგზავნით 25 მეტად საინტერესო ნივთს, ჩვენ მზოლოდ გასაგზავნ და გასახვევის ფასად 90 კ. ვიღებთ. დღესაც გამოგვიგზავნეთ დია წერილი თქვენის სწორე ადრესით. ა დ რ ე ს ი: Лодзь 172 почт. ящикъ 367. Метцль. 20982
(5—1163—1)

თესლეულობა
ყოველგარი, უმაღლესის ღირსებისა და თავდებობით, რომ აღმოცენდება, გალიებული ხახვის თავი და სენდრო. ფასები ზომიერზე დაბალი. **თესლეულობის დეპო კოველისა** მიხეილის პროსპექტი 27.
(3—500—1)

ვ. ყიფიანის დრამა
სამეგრელოს მოსავარი
ლ ე ვ ა ნ
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.
ფასი ოქრ აბაზი
იყიდება „სახ. გაზ.“ რედაქციაში და წერაკითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა
სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ
ძმ. ძეგველოვების
● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
✦ ახალ-ახალი ✦
ოსეტრინა (ზუთხი) **და სევრიუგა** (ტარანდანა).
ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პ ა რ კ ი ს ა დ ა კ ო ლ ო ფ ე ბ ი თ
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
მიღებულია დვინის ორაგული (სიოგზა)
მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა
გირვანქა 2 მან. — 2 მან. 40 კ.
წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. ზირ.
და ბელა-რეგეც 50 კ.
მივიღეთ ახალი ნაკაგა
აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.
(წ—128—118)
საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

ДЕПЕШЕБІ
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
5 მარტი.
საზღვარ-გარეთ.

ტრუა. მედგინეთა მეოდი რაიონი აღდგებოდა. მმართველები სამსახურს თავს ანებებენ. მედგინენი წითელ ბაირაღებს აფრიალებენ. კვირას დეშოსტრაციები მოსალოდნელი.

რეიმს. მედგინეთა მოძრაობა შანპანშიც გადავიდა.

შავი ზირი.

ხარბინი. დღე დამეში 1 ჩინელი მოკვდა. ერთი ჩინელის კვამი ქუჩაში იმოვეს. განზრახული იქნა ექიმთა რიცხვის დამცირება.

რ უ ს ე თ ი.

ოდესა. ზღვაზე ძლიერი ქარიშხალია.

კიევი. კატრეტვეს კუროგსკის იარაღის ქარხანა. ჯერ-ჯერობით გამოიკვლა, რომ 50 რევოლვერი კატეგორიული.

მოსკოვი. კონფეტის და მაკარონის ფინკის ქარხანაში ავტომობილით რამდენიმე კაცი მივიდა, 6,500 მან. მოიტაცა, ავტომობილი ჯადაში მიატოვა და მიიმალა. ერთი დაიჭირეს. მან 1,681 მან. ადმოაჩნდა. 1006 მ. ტუეში იმოვეს.

თეატრი და ხელოვნება
ქართული თეატრი. შაბათს ქუთაისის ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილ იქმნა „ჰანნელე“ ჰაუპტმანისა და „შურისძიება“, ჯამბაკურ-ორბელიანისა, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. დაწვრილებით ხვალ.

განცხადებანი
დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძველის პირდაპირ)
დ ი ლ ი თ:
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
ყ. ფ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანახოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. ფულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტიხიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ბ. ბ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
ბ. პ. კარაპეტიანცი: 1—11/2 ს. შინ. გან. და საბავშვო.
ბ. გ. ავგასროვი: 11/—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.
ს ა ლ ა მ ო თ ი:
ქალ. ეკ. ბ. ს. ზილბერშაცი: 6—6 ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.
ო. ვ. გეევსკაია-ენგელი: 6—61/2 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ი. ფ. მარცეშევსკი: 6—7 ს. შინ.-განი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
11—12 სათ. **606** წ ა ვ ა ლ ო ბ ა
კონსულტაციურად
რჩევა 50 კაპ. დარიშებს უფასოდ, გეხსულტაციები და ფეფრაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი
მედიც. დოტქორი ბ. ბ. ნავასარდიანი.

ქართა ავსარქისოვეგის
ბალეულობაში
იყიდება საზღვარ-გარეთული, რუსული და საუკეთესო ადგილობრივი
სანერგე ხეილები
ხელმისაწვდომ ფასებში.
ადრესი: სკრა (ამიერ კავკ. რკ. გზა) ავსარქისოვი. **კატალოგები მოთხოვნილებისათანავე უფასოდ იგზავნება.**
(5—1096—5

თ ე ს ლ ე უ ლ ო ბ ა
თ. კიღოვარიოვილი და ამხ. ჭუთაისში
იყიდება: ონჯისა, სამყურისა, კოინდრისა, **დაფნის თესლისა** გირვანქა 60 კ., ეკლის ხისა, ბეოლის და ყოველგვარი ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა **თესლეულობას.** ნერგები: ნამყენი ხეხილებისა, ეკლის ხის, **დაფნისა** და ბალის სხვა და სხვა ვარდისა. პრეისკურანტი უფასოდ იგზავნება.
(30—1104—5)

● მაკვს პატივი გაცნოგოთ, ●
ქალაქ ტფილისში, კიროვნი ქუჩა, N 21, ტელეფონი N 925.
მაქვს ავეჯით მოწყობილი ნომრები,
ოტელ-იმპერიალი
ნომრები არის ახალი ავეჯით მოწყობილი და ელექტროენით განათებული,
და საგრძნობელი სისუფთავით შენახული. მოსამსახურენი ზრდილობიანნი. ახლა აქვს სასტუმროს ტრამვაის სადგომი, საავადმყოფო, აფთიაქი, ფოსტა და ყოველივე საკვერო დაწესებულება.
ნომრები: 1 მანეთიდან 3 მ 50 კაპეიკამდის
მობრძანდებით და პირადად მოგელაპარაკებით, დაგეთმობათ დიდის შეღავათით.
(10—1113—5)

გ ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ა
ვ ი ნ ც ი ტ ა ნ ჯ ე ბ ა
ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, სასხლნაკლებობით, ჭლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოგოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.
გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის **სპერმინის** მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამლთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის **სპერმინ-პელა** რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობადა ვთვლით ჩვენის **სპერმინის** მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება **სპერმინის** სიკარგეზე, ჩვენ **სპერმინზე** ნათქვამი, რომელსაც ეწოდება **„სპერმინ-პელა“** ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უმგვანო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ **სპერმინ-პელისი** და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მიურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦
органотерапевтическій институтъ. **профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.**
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.
ა ვ ა ლ დ მ ყ ო ფ ე ბ ს
(Метцль и К-о. № 1229.) (8—26—5)

მიდათოვის კუნძული სტამბა „ხ ო ლ ა ბ ა ნ ი“ რედაქტორ-გამომცემელი **იროდიონ ხონდულაშვილი.**